ნაწილი 3

საგანმანათლებლო რესურსცენტრი და მოსწავლეთა თვითმმართველობა

USAID ამერიკელი ხალხისგან
PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

ნაწილი III

საგანმანათლებლო
რესურსცენტრი და მოსწავლეთა
თვითმმართველობა

USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

საგანმანათლებლო
რესურსცენტრი და მოსწავლეთა თვითმმართველობა

ავტორები:
ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

დიზაინერი:
თამარ ნიკოლეიშვილი

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

ჯგუფის ხელმძღვანელი:
მაკა ბიბილეიშვილი

2022 წელი

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH international-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH international-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია პროგრამის ფარგლებში და მოიცავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. რესურსი შედგება სამი ნაწილისგან:

- პირველ ნაწილში გაეცნობით მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას თვითმმართველობების როლისა და საქმიანობის შესახებ;
- მეორე ნაწილი სკოლის ადმინისტრაციის წევრებს დაეხმარება მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდაჭერაში;
- მესამე ნაწილი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებას საგანმანათლებლო რესურსცენტრების პერსპექტივიდან.

მოცემული რესურსი საშუალებას მისცემს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს, ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი სკოლის სტრუქტურაში დაეხმარება მათ, აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წვლილი შეიტანონ სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებაში.

[1] გოგლიჩიძე.ა. მონაწილეობა სკოლის თვთმართველობაში, მოსწავლის წიგნი, 2011 წ. გვ.24

შინაარსი

საგანმანათლებლო
რესურსცენტრი და მოსწავლეთა თვითმმართველობა

საგანმანათლებლო რესურსცენტრი და მოსწავლეთა
თვითმმართველობა 1

მაგალითი 1 "მოსწავლეთა თვითმმართველობები
ძალადობის წინააღმდეგ" 4

მაგალითი 2 "რესურსცენტრი-მოსწავლეთა
თვითმმართველობების ინიციატივის მხარდამჭერი" 5

საგანმანათლებლო რესურსცენტრი და მოსწავლეთა თვითმმართველობა

გზამკვლევის ამ ნაწილში განვიხილავთ საგანმანათლებლო რესურსცენტრის როლს მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტიან და ეფექტურ საქმიანობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობასა და რესურსცენტრს შორის თანამშრომლობას სხვადასხვა უწყებასთან ერთობლივი თანამშრომლობის, რესურსების მოზიდვის, პროექტების განხორციელების მიზნით, მუნიციპალურ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. აქვე წარმოგიდგენთ წარმატებულ პრაქტიკულ მაგალითებს ამ მიმართულებით.

ვინაიდან გზამკვლევის მიზანია, მოსწავლეებს, სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობის საშუალებით, ჩამოუყალიბდეთ დემოკრატიული ღირებულებები, განუვითარდეთ აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევები, მნიშვნელოვანია, ამ მიზნის მისაღწევად, მოსწავლეთა თვითმმართველობებმა ერთმანეთთან თანამშრომლობით გაიაზრონ ის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლოა გასცდეს სკოლას. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მუნიციპალურ დონეზე, რათა სამომავლოდ, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით, გააზრებული მონაწილეობის მიღებით, პრობლემის ირგვლივ ერთ გუნდად ჩამოყალიბებით, შესაძლებელი გახდეს ქვეყნის მმართველობასა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღებაც.

გზამკვლევში წარმოდგენილი მასალა მოსწავლეთა თვითმმართველობებს დაეხმარება ერთმანეთთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობის მნიშვნელობის უკეთ გააზრებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შესაძლო მრავალფეროვნების გაცნობიერებაში. წარმოდგენილი მასალა დაფუძნებულია საქართველოს სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობების პრაქტიკულ მაგალითებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების -საგანმანათლებლო რესურსცენტრების დებულებაში რესურსცენტრის მიზანი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელებაა. ამავე დებულების ძირითად ფუნქციებში, სხვა ფუნქციებთან ერთად, რესურსცენტრს ვხედავთ:

- როგორც მხარდამჭერს, სკოლაში სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართვაში (ამ მიმართულებით, მოსწავლეთა თვითმმართველობა რესურსცენტრებს შესაძლოა დაეხმაროს, როგორც ადგილზე მიმდინარე პროცესების შემფასებელი, უფრო თვალნათლივ შეძლოს საჭიროებების გამოკვეთა და პრობლემების გადაჭრის გზებიც მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად იპოვოს);

- როგორც ხელშემწყობს:
  - სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი და სხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში;
  - თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მიერ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვასა და გაძლიერებაში;
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, როგორც საგნობრივი, ისე – სკოლის მართვის მიმართულებით.

რესურსცენტრმა, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის მხარდამჭერმა სტრუქტურულმა ერთეულმა, შეიძლება:

- ხელი შეუწყოს ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანების (მინიმუმ, თანამშრომლობის) შექმნას;
- მოუსმინოს თვითმმართველობის გაერთიანებას;
- მიაწოდოს ინფორმაცია სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და ცვლილებების შესახებ;
- მოსწავლეთა წინადადებები მიაწოდოს შესაბამის სტრუქტურებს;
- დაეხმაროს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებას სხვადასხვა სტრუქტურასთან კომუნიკაციაში;
- დაეხმაროს მოსწავლეთა მუნიციპალურ დონეზე არსებულ თვითმმართველობებს ერთმანეთთან დაკავშირებაში;
- მუნიციპალურ დონეზე მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებამ უნდა წარმოადგინოს და დაიცვას მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ინტერესები;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თვითმმართველობებს, ითანამშრომლონ სახელმწიფო ინსტიტუტებთან;

- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერებას:
  - ✓ გამოცდილების გაზიარებით
  - ✓ საერთო ინტერესის სფეროს გამოკვეთით
  - ✓ საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეთა და მოსწავლეთა თვითმმართველობების ინტერესების დასაცავად მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართვით
- წამოაყენოს/განსახილველად დააყენოს მუნიციპალურ დონეზე განათლების ხარისხის გაუმჯობესების წინადადებები და თვალი მიადევნოს მათ შესრულებას;
- იზრუნოს მოსწავლეთა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე და სწავლის მოტივაციის გაზრდაზე, მიაწოდოს მათ სისტემატურად ინფორმაცია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების/სიახლეების შესახებ;
- იზრუნოს მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაზე (სხვადასხვა საინტერესო აქტივობის დაგეგმვითა და ორგანიზებით). ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა დაახლოებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების გაზრდას.
- ამისთვის კი რესურსცენტრმა, მოსწავლეთა თვითმმართველობებთან ერთად, შესაძლებელია განახორციელოს აქტივობები, კერძოდ:
  - ჩაატაროს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანების კონფერენციები საუკეთესო გამოცდილების/პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
  - შექმნას საკუთარი ვებვერდი ან/და სოციალური ქსელი ინფორმაციის დროულად გავრცელების მიზნით;
  - გამოავლინოს მოსწავლეთა პრობლემები და იზრუნოს მათ დახმარებაზე პრობლემების მოგვარებაში;
  - მონაწილეობა მიიღოს განათლების პოლიტიკის ფორმირებაში-წარადგინოს პოლიტიკის გასაუმჯობესებელი წინადადებები და მოსაზრებები.

მაგალითი 1

„მოსწავლეთა თვითმმართველობები ძალადობის წინააღმდეგ“

პრობლემა: მოსწავლეთა თვითმმართველობები, ადამიანის უფლებების დასაცავად და ძალადობის წინააღმდეგ თანატოლთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად ახორციელებდნენ პროექტებს თავიანთ სკოლებში, თუმცა სკოლებში მაინც ხშირი იყო ძალადობის ფაქტები, განსაკუთრებით კი კიბერბულინგის შემთხევევები.

მიზანი: მოზარდის განვითარების პროცესში კიბერბულინგის შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ყურადღების გამახვილებით, დისკრიმინაციის შემცირების ხელშეწყობა.

აქტივობები:

- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, როგორც ყველაზე მეტად ინფორმირებულმა სტრუქტურამ სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ, ფასილიტაცია გაუწია მოსწავლეთა თვითმმართველობის პირველ საერთო ტიპის შეხვედრას; შეხვედრას ესწრებოდა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი, რომელიც მთელი პროცესის მანძილზე ჩართული იქნებოდა მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
- მოსწავლეთა თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის ჩართულობით, ონლაინკითხვარის გამოყენებით, ჩაატარეს ანონიმური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო კიბერბულინგთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესწავლა. ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იდენტიფიცირება, თუ რა ფორმით ხდებოდნენ მოსწავლეები კიბერბულინგის მსხვერპლი;
- კვლევის შედეგების საფუძველზე, მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებამ გააკეთა ფეისბუქგვერდი, სადაც დაიწყეს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა კიბერბულინგის წინააღმდეგ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებამ, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის ჩართულობით, მოამზადა ონალაინგადაცემა, რომლის მიზანიც კიბერბულინგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო;
- რესურსცენტრმა ორგანიზება გაუკეთა პოსტერების კონკურსს. პოსტერებში წარმოდგენილი იყო ის ემოციები, რომელსაც ეკრანს მიღმა მოსწავლეები განიცდიან კიბერბულინგის დროს;

- მოსწავლეთა თვითმმართველობამ, რესურსცენტრის მხარდაჭერით, კერძო სექტორთან თანამშრომლობით, გააკეთა ბანერი „კიბერბულინგი დანაშაულია“, რომელიც გამოიკრა მუნიციპალიტეტის ცენტრში;
- რესურსცენტრის ხელშეწყობით, მუნიციპალურ დონეზე ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლების ადმინისტრაციები და მასწავლებლები, მოწვეული სპეციალისტები, მშობლები და მოსწავლეები;
- კონფერენციაზე გამოიფინა მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი პოსტერები.

შედეგი: პროექტის განხორციელების შედეგად, მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოების წევრები კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ და გაიაზრეს, რა უარყოფითი შედეგები მოსდევს ძალადობას, განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში, სადაც პროცესი ნაკლებად ხილულია და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მან მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

მაგალითი 2

„რესურსცენტრი - მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების მხარდამჭერი“

პრობლემა: სკოლებში განათლების რეფორმის ფარგლებში ჩატარებულმა საჭიროების კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი იყო სასწავლო პროცესის გარე აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფა ცალკეულ სკოლებს შეზღუდული მასშტაბით შეეძლოთ, უფრო მასშტაბური აქტივობების ხელშეწყობა მათთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა.

მიზანი: მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ერთობლივი ფინანსების მოძიება.

აქტივობები: მას შემდეგ, რაც საგანმანათლებლო რესურსცენტრი სკოლების საჭიროებებს გაეცნო, დარწმუნდა, რომ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელებით ბევრი პრობლემა მოგვარდებოდა.

- რესურსცენტრმა მოიწვია სკოლების თვითმმართველობების წარმომადგენლები;
- თვითმმართველობებმა, რესურსცენტრის დახმარებით, ჩამოაყალიბეს ერთიანი ინიციატივები;

- რესურსცენტრის მხარდაჭერით, დაიწყო კომუნიკაცია სხვადასხვა დონეზე, როგორც ადგილობრივ თვითმმართველოსასთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

- მოსწავლეთა თვითმმართველობების წარმომადგენლებმა ერთობლივად იმუშავეს და ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგინეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სკოლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და დამფინანსებელი ორგანიზაციების/დონორების თანამშრომლობას მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი საჭიროებების მოგვარების მიზნით.

შედეგები:

- ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი პროექტის შესაბამისად, გამოყო ადგილი სახელწიფო საკუთრებიდან;

- მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებამ იმავე პროექტით მოიძია გრანტი, რომლის ფარგლებშიც გამოყოფილ ადგილზე გაკეთდა გარე სივრცე შემეცნებითი აქტივობებისთვის. დაიდგა ტექნიკა, შეივსო სხვადასხვა საჭირო რესურსით;

- მოსწავლეთა თვითმმართველობების გაერთიანებამ დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.